

**უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის  
(შიდა მობილობის)  
მსურველთა საყურადღებოდ!**

სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სწავლების სხვადასხვა საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველმა სტუდენტებმა 2017 წლის 29 აგვისტოდან 18 სექტემბრის ჩათვლით, განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მეორე სართული, ოთახი №264). საბუთები მიიღება 10<sup>00</sup> საათიდან 16<sup>00</sup> საათამდე გამოსასვლელი დღეებისა და შაბათ-კვირის გარდა.

**წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
5. სტუ–ს ბუღალტერიიდან (ოთახი N 210) ცნობა გადახდის შესახებ

**შენიშვნა:** მობილობის წესით დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება სტუ-ის დოქტორანტურის დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად, საფაკულტეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე.